Buntlack

ფერადი ემალი ხისა და რკინისთვის თქვენთვის სასურველ ფერში.

შესანიშნავი ფარვის უნარის და ფერის მდგრადობის მქონე კოლირებადი (ალკიდური) ემალი, შიდა და გარე სამუშაოებისთვის. ნაკაწრების მიმართ მედეგი. შესანიშნავად იწმინდება.



ColorMix

პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

0,75ლ ; 2,5ლ; 10ლ

სიპრიალის ხარისხი:

პრიალა და აბრეშუმისებრი მქრქალი

პროდუქტის უპირატესობები:

შესანიშნავი ფარვის უნარი
მედეგი ნაკაწრების და დარტყმის მიმართ
გაჯერებული ნათელი ფერები

ხელსაწყოები / ტემპერატურა:

დაიტანეთ აკრილის ემალებისთვის განკუთვნილი ფუნჯით ან გორგოლაჭით.გამოიყენეთ არანაკლებ 5°C ტემპერატურისას (ჰაერი და ზედაპირი). გამოყენების შემდეგ იარაღები გაასუფთავეთ წყლითა და საპნით.

თვისებები:

შეფერადება შესაძლებელია ფერების ფართო სპექტრით. ქმნის ნაკაწრების მიმართ მედეგ, ნათელ და ფერად ზედაპირს.პრაქტიკულად არ წარმოქმნის არომატს დატანის და შრობის დროს.ადვილად დაიტანება,სწრაფად შრება და შესანიშნავად იწმინდება..

შრობის დრო / გამოყენების პირობები:

+20°C ტემპერატურისა და 65% ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი მშრალია 5 საათის შემდეგ, 8საათის შემდეგ შეიძლება შემდეგი ფენის დატანა. უფროდაბალი ტემპერატურისა და ჰაერის მაღალი ტენიანობის შემთხვევაში ეს დრო იზრდება.

შესაფერისი ზედაპირები:

დაგრუნტული ან ლაქწასმული ხის, ლითონის, მყარიპოლივინილქლორიდის ზედაპირები.საქიროების შემთხვევაში: აგრეთვე მინერალური ზედაპირები, ცემენტის ბათქაშები,ბეტონი და გიფსოკარდონი.

დატანის მეთოდები / ხარჯი:

არა მყარი ძველი დანაფარები მოაშორეთ და გაწმინდეთ ზედაპირი ჭუჭყისა და მტვერისგან. მყარი ძველი დანაფარები ოდნავ გაშლიფეთ. დაიტანეთ Buntlack 2 ფენა. შეუღებავი ზედაპირები წინასწარ დაგრუნტეთ Alpina Grundierung für Holz-ით ან AlpinaGrundierung für Metall-ით. პროდუქტი კარგად ამოურიეთ.
ხარჯი: 80-100 მლ/მ² - ერთი ფენა.

ფერის ტონები:

	პრიალა	აბრეშუმისებრი მქრქალი
მწვანე	x	x
თიხისფერი-ყავისფერი	x	x
მუქი ყავისფერი	x	x
შოკოლადის ფერი	x	x
შავი	x	x
ნაცრისფერი	x	
სპილოს ძვალი	x	
წითელი	x	
ლურჯი	x	
კრემისფერი-თეთრი		x

დაფარვის სტრუქტურა / გაზავება:

საგრუნტი ფენა:
Alpina Grundierung für Metall გაუზავებელი ან Alpina Grundierung für Holz გაუზავებელი.
შუალედური და საბოლოო ფენა: Alpina Buntlack გაუზავებელი.

ფერი / შეფერადება:
ბაზა 1: თეთრი
ბაზა 2 და 3: გამჭირვალე
ბაზა 1 შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორცთეთრი ემალი ან ღია ფერებით, ხელით ან მექანიკურად შეფერილი. მექანიკური შეფერვა Alpina ColorMix-ით, ან ხელით Alpina Tint-ის საშუალებით. მუქი ელფერებისათვის გამოიყენეთ მხოლოდ Alpina ColorMix-ის საშუალებით შეფერილი ბაზა 3.

შემადგენლობა:

ალკიდის ფისი, White-Spirit, პიგმენტი, მინერალური დანამატები, ადეტივები, ანტიკოროზიული პიგმენტები.ევროპული ნორმების მიხედვით, ამგვარ ნაწარმში აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია (კატ. A/i) არ უნდა აღემატებოდეს 500 გ/ლ. ეს ნაწარმი შეიცავს 500 გ/ლ VOC-ს.

Buntlack

ზედაპირის მომზადება

ზედაპირის მომზადება:

ფოლადი/რკინის ზედაპირებს სრულფასოვნათ მოაშორეთ ჟანგი.მოაშორეთ ზედაპირს ქუჭყი და გამყოფი ნივთიერებები (ცხიმი). დაგრუნტეთ პროდუქტით: Alpina Grundierung für Metall ანAlpina Grundierung für Holz.

ზედაპირები არამზიდი დანაფარებით:

არამზიდი ლაქების და ემალების დანაფარები სრულად მოაშორეთ ზედაპირს.

ზედაპირი	დანიშნულება	ზედაპირის მომზადება	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	დამასრულებელი ფენა
ხე, ხის მასალები	ინტერიერი	გაიშლიფოს	Alpina Buntlack	-	Alpina Buntlack
	ექსტერიერი	გაიშლიფოს	Alpina Grundierung für Holz	Alpina Buntlack	Alpina Buntlack
მეტალი, რკინა	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიწმინდოს ჟანგისგან	Alpina Grundierung für Metall	Alpina Buntlack	Alpina Buntlack
მყარი PVC	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაიწმინდოს	Alpina Buntlack	-	Alpina Buntlack
ბეტონი	ინტერიერი / ექსტერიერი	განმაცალკევებელი ნივთიერებები და ცარცვადი ნვთიერებები მოშორდეს	-	Alpina Buntlack	Alpina Buntlack
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი / ექსტერიერი	გაიშლიფოს, გაიწმინდოს	გამზადდეს და ზედაპირის მიხედვით გრუნტით გამოსწორდეს დეფექტები.	Alpina Buntlack	Alpina Buntlack

ხარჯი

	ფუნჯით დატანა	გორგოლაჭით დატანა	მიფრქვევით დატანა
მლ/მ²	80-100	90-100	100

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. მუშაობისას იზრუნეთ სამუშაო სივრცის საფუძვლიან განიავებაზე. არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას.
თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ საღებავის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. შეფრქვევით დამუშავებისას არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი ღრუბელი. გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაირეცხოს წყლით.
არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი".

უტილიზაცია:

საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას ძველი საღებავების მიმღებ პუნქტში, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი.

შენახვის პირობები:

შეინახეთ მჭიდროდ დახურულ შეფუთვაში, გრილ, ყინვისაგან დაცულ ადგილას არანაკლებ +5°C და არა უმეტეს +20°C ტემპერატურაზე. ორიგინალურ შეფუთვაში პროდუქტი ვარგისია 5 წლის განმავლობაში.

ტექნიკური ინფორმაცია № 380,
2018 წლის მარტის მდგომარეობით

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/ მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.

შპს „კაპაროლ ჯორჯია" ფირმათა ჯგუფ DAW-ს საწარმო
ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო
ტელ:+995 322 121 505
ელ-ფოსტა: office@caparol.ge